ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის სხდომის

ო ქ მ ი N28

სხდომის ჩატარების დრო:
5 ივლისი, 2023 წელი

სხდომის ჩატარების ადგილი:
რუსთაველის გამზირი N3
ადგილობრივი თვითმმართველობის
შენობაში არსებული სხდომათა დარბაზი

სხდომას თავმჯდომარეობდა საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარე, ბატონი **ამირან კოპალეიშვილი.**

ესწრებოდნენ კომისიის წევრები:
მაგდა კოსტავა, ჯემალ ბიბილეიშვილი, თეიმურაზ ნადირაძე, ზაქრო მამასახლისი, მამუკა რიჟამაძე, ნინო ბიბილეიშვილი, კობა გურული.

სულ: 8 წევრი.

არ ესწრებოდნენ: მაია სიმონიძე, ბესიკ ხამაშურიძე, გრიგოლ შუშანია, გიორგი კილაძე, დავით ბახტაძე, ლაშა შალამბერიძე.

სულ: 6 წევრი.

სხდომის მუშაობაში მონაწილეობდნენ:

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის- ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელი **თინათინ ბერიშვილი.**

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე **ირაკლი შენგელია,** საკრებულოს წევრები **პაატა ლილუაშვილი** და **ხათუნა არველაძე.**

სხდომა გახსნა საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარემ ბატონმა **ამირან კოპალეიშვილმა** და წარმოადგინა სხდომის დღის წესრიგის შემდეგი პროექტი:

1.„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო და სარგებლობაში გასაცემი ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 16 მარტის N359 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

2. „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციისა და სარგებლობაში გასაცემი ობიექტების გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 29 მარტის N177 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

დღის წესრიგის პროექტთან დაკავშირებით მოსაზრებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარემ, ბატონმა **ამირან კოპალეიშვილმა** დღის წესრიგის პროექტთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა კომისიის 8 წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ კომისიის წევრები: მაია სიმონიძე, ბესიკ ხამაშურიძე, გრიგოლ შუშანია, გიორგი კილაძე, დავით ბახტაძე, ლაშა შალამბერიძე.

ღია კენჭისყრით, ერთხმად **დ ა ა დ გ ი ნ ე ს**:

დამტკიცდეს კომისიის სხდომის დღის წესრიგი წარმოდგენილი რედაქციით.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს:

დღის წესრიგის პირველი საკითხის- **„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო და სარგებლობაში გასაცემი ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 16 მარტის N359 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“**

ზემოაღნიშნულ საკითხზე განკარგულების პროექტი წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის-ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელმა, ქალბატონმა **თინათინ ბერიშვილმა.**

(განკარგულების პროექტი
ოქმს თან ერთვის)

ქალბატონმა **თ.ბერიშვილმა** აქვე განმარტა: „წარმოდგენილია ნუსხა, რომელშიც ვამატებთ სამ ობიექტს, პეტრიწის მეორე შესახვევი N3 -3119 კვ. მეტრის ფართობის მიწის ნაკვეთი შენობა-ნაგებობით და ასათიანის ქუჩაზე არსებული ორი მიწის ნაკვეთი, ყოფილი საკონსერვო ქარხნის ტერიტორია, რომელიც გადმოგვცა სახელმწიფომ საკუთრებაში და ვამატებთ ნუსხაში.“

საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი **ირაკლი შენგელია:** „საკითხთან დაკავშირებით გავაკეთებ განმარტებას, მოგეხსენებათ ეს ქონება დაახლოებით 73 000კვ.მერტის ფართობისაა და გახლდათ სახელმწიფო საკუთრება, სახელმწიფო ამ ქონების გასხვისებას გეგმავდა პირობიანი აუქციონის გზით, ამ პირობის ერთ-ერთი ნაწილი იყო, განხორციელებულიყო 2-დან 3 მილიონ ლარამდე ღირებულების ინვესტიცია და პირობად ჩაედოთ იქაურობის განვითარება, რაც გულისხმობდა მინი ქალაქის მშენებლობას, როდესაც პირობით გადის აუქციონზე კონკრეტული სახელმწიფო ქონება, ადგილობრივ თვითთმართველობას, მუნიციპალიტეტს, კანონის შესაბამისად არ აქვს შესაძლებლობა მიიღოს ბენეფიტი, ანუ ფინანსური სარგებელი, საკმაოდ დიდხნიანი ადვოკატირების პროცესის გზით

ადგილობრივმა თვითმმართველობამ მიაღწია იმას, რომ ეს ქონება გადმოსულიყო ჩვენს საკუთრებაში და მუნიციპალიტეტს განეკარგა, როდესაც შევისწავლეთ აღმასრულებელთან და კონკრეტულ სამსახურთან ერთად, აღმოჩნდა, რომ მიწის გარდა ამ ტერიტორიაზე არის საკმაოდ დიდი ქონება, მიწაზე განთავსებული შენობა-ნაგებობების სახით, რომელსაც ცალკე ღირებულება გააჩნია, მომავალ გეგმებსაც მოგახსენებთ, გენერალური გეგმის კონცეფციიდან გამომდინარე, ასეთი ტიპის და ამ ფართობის ქონებაზე, ვფიქრობთ, რომ წავიდეთ გდგ-ს გზით, ანუ შემუშავდეს კონკრეტული არეალის დამუშავების გეგმა და ამის მიხედვით კონკრეტული ქონება დაიყოს რამდენიმე ნაწილად და ბიზნესს შევთავაზოთ უკვე კონკრეტულ ქონებაზე გაუჩნდეს ინტერესი, ამას ვერ გააკეთებს ადგილობრივი თვითმმართველობა, თუ ამ მიწაზე არსებული ქონება არ იქნება განკარგული, რადგან ვერ დავუდებთ პირობას. ამიტომ ამ ყველაფერს სჭირდება საკრებულოს თანხმობა, რომ თვითთმართველობამ განკარგოს მიწის ნაკვეთი ცალკე და მასზე არსებული შენობა-ნაგებობები-ცალკე."

კომისიის წევრი, ქალბატონი **ნინო ბიბილეიშვილი:** „იმედია სკვერიც გაკეთდება ამ ტერიტორიაზე, რადგან არის მოსახლეობის მხრიდან მოთხოვნა."

საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი **ირაკლი შენგელია:** „სწორედ ამიტომ მივდივართ ამ გზით, რომ დამუშავდეს გდგ და ამ ნაწილში გათვალისწინებული იყოს არამხოლოდ სკვერი, არამედ სხვა ინფრასტრუქტურა და გაჩნდეს ერთი ცივილიზებული მშენებლობის ნაწილი, ამავდროულად მუნიციპალიტეტმა მიიღოს შემოსავალი."

საკითხთან დაკავშირებით დებატები შეწყდა.

საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარემ, ბატონმა **ამირან კოპალეიშვილმა** დღის წესრიგის პირველ საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა კომისიის 8 წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ კომისიის წევრები: მაია სიმონიძე, ბესიკ ხამაშურიძე, გრიგოლ შუშანია, გიორგი კილაძე, დავით ბახტაძე, ლაშა შალამბერიძე.

ღია კენჭისყრით, ერთხმად **დ ა ა დ გ ი ნ ე ს**:

მუხლი 1. მოწონებულ იქნეს განკარგულების პროექტი „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო და სარგებლობაში გასაცემი ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ" ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 16 მარტის N359 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე"

მუხლი 2. დღის წესრიგის პირველ საკითხზე მიღებულ იქნეს დასკვნა შენიშვნების გარეშე თანდართული რედაქციით და წარედგინოს საკრებულოს ბიუროს უახლოეს სხდომას განსახილველად.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს:

დღის წესრიგის მეორე საკითხის- **„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციისა და სარგებლობაში გასაცემი ობიექტების გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 29 მარტის N177 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე"**

ზემოაღნიშნულ საკითხზე განკარგულების პროექტი წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის-ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელმა, ქალბატონმა **თინათინ ბერიშვილმა.**

(განკარგულების პროექტი
ოქმს თან ერთვის)

საკითხთან დაკავშირებით შენიშვნები არ გამოთქმულა.

საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარემ, ბატონმა **ამირან კოპალეიშვილმა** დღის წესრიგის მეორე საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა კომისიის 8 წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ კომისიის წევრები: მაია სიმონიძე, ბესიკ ხამაშურიძე, გრიგოლ შუშანია, გიორგი კილაძე, დავით ბახტაძე, ლაშა შალამბერიძე.

ღია კენჭისყრით, ერთხმად **დ ა ა დ გ ი ნ ე ს**:

მუხლი 1. მოწონებულ იქნეს განკარგულების პროექტი „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციისა და სარგებლობაში გასაცემი ობიექტების გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 29 მარტის N177 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“

მუხლი 2. დღის წესრიგის მეორე საკითხზე მიღებულ იქნეს დასკვნა შენიშვნების გარეშე თანდართული რედაქციით და წარედგინოს საკრებულოს ბიუროს უახლოეს სხდომას განსახილველად.

ამით, ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის სხდომამ მუშაობა დაამთავრა.

საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და
საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარე
ამირან კოპალეიშვილი